

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი № 104

24 ოქტომბერი 2025 წ.
12:30 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

მოწვეული სტუმარი:

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე.

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-გიორგი კობიაშვილი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე,

კომისიის წევრები- ლევან დავითაშვილი, თამარ ჩახვაშვილი, ნინო ვარდოსანიძე, ალექსანდრე ხუჯაძე, მიხეილ კაკაურიძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე

დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე. საკრ.№12-03252965-03 23/10/2025

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ. (№11-01252961023 საკრ.№15-03252967-03 23/10/2025)

3. ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქ. N20-ის მიმდებარედ არსებული 14 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.012.037) 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ციციწო ბარბაქაძისთვის (პ/ნ 01001006090) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-0325272133-03 29/09/2025

4. ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.007.062) პირდაპირი განკარგვის წესით მარინა არველაძისთვის (პ/ნ 37001039083) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032529941-03 21/10/2025

5. ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. N19-ში მდებარე 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო ინასარიძისთვის (პ/ნ 59001103888) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032528065-03 7/10/2025

6. ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა N99-ის მიმდებარედ N01.12.12.003.141; N01.12.12.003.142 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, ხათუნა გამცემლიძისთვის (პ/ნ: 01017007820) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032528065-03 7/10/2025

7. ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.020) ეკა ჯანიკაშვილისთვის (პ/ნ: 01008006732) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-03252883-03 15/10/2025

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე. საკრ.№12-032528056-03 7/10/2025

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 2 ივნისის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-259-11-11441 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული

აუქციონის განსაკუთრებული პირობის ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე.საკრ.№12-03252881-03
15/10/2025

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკრ.№12-032528057-03 7/10/2025

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ენსი გრუპს“ (ს/კ: 405186365) (დღეის მდგომარეობით: შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ - ს/ნ: 405626997) შორის 2021 წლის 15 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიდმის დასახლების მიმდებარედ არსებული 8 118 კვ.მ ფართობის, N01.10.06.002.064 და N01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ: N01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დამატებითი შეთანხმების თაობაზე.
საკრ.№12-032528013-03 7/10/2025

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ახალ ვაზისუბანს“ (ს/ნ: 405675899) შორის 2024 წლის 3 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბნის II, კორპუსი N27-ის მიმდებარედ, N01.17.06.014.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 7035 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ახალი ვაზისუბნისთვის“ (ს/ნ: 405675899), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან - შპს „ახალი ვაზისუბნის“ (ს/ნ: 405675899) გათავისუფლების თაობაზე . საკრ.№12-032529649-03 23/10/2025

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ენსი დეველოპმენტს“ (ს/ნ 405385925 - დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა დეველოპმენტი“ - ს/ნ 405385925) შორის 2021 წლის 11 ივნისს გაფორმებული ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. №13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „დეკა დეველოპმენტის“ - ს/ნ 405385925) ნაწილობრივ გათავისუფლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, არჩილ მეფის ქუჩა, N17-ში, მდებარე 54.80 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.230.01.05.010) და 61.70 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.230.01.04.005) უძრავი ქონების (საცხოვრებელი ფართების) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე საკრ.№12-032529650-03 23/10/2025

14. ქალაქ თბილისში, ერეკლე II ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.045.019) 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ვასილი შელეგიასთვის (პ/ნ 62004005989) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.საკრ.№12-032529652-03 23/10/2025

15. ქალაქ თბილისში, გამსახურდიას გამზირი N34-ის მიმდებარედ არსებული 520 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.14.013.045) 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიზნეს ცენტრი საბურთალოსთვის“ (ს/ნ 205272863) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საკრ.№12-032529661-03 23/10/2025

16. „ქ. თბილისში, ჟიული მარტავას ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.114) და ჟიული მარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. საკრ.№12-032529651-03 23/10/2025

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „თელასს“ (ს/ნ: 202052580) შორის 2024 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული №ე-802-5-30603 აუქციონის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საკრ.№12-032529660-03 23/10/2025

18. ქ. თბილისში, იორის ქუჩა 3-7/გიგა ბათიაშვილის I შესახვევი, N4-6-ის მიმდებარედ N01.17.01.041.013 და N01.17.01.041.021 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, თინათინ რაზმაძესთვის (პ/ნ: 59001011939) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზესაკრ. №12-032529659-03 23/10/2025

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება გრანტების ნაწილში სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოცულობა 5 000,0 ათასი ლარით (საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 ოქტომბრის N1659 განკარგულება), სხვა შემოსავლების ნაწილში სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (მათ შორის წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები) – 179,4 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება სულ - 5 179,4 ათასი ლარით და შეადგენს - 2 353 788,4 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება

გზების მოვლა- შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08)- 148.5 ათასი ლარი, გზები მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში - (კოდი 01 01 16) – 600,0 ათასი ლარი, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) - 9000.0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) -1020.0 ათასი ლარი, დაავადებათა სკრინინგი-(კოდი 06 01 02)- 750,0 ათასი ლარი, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსება (კოდი 06 01 05) - 400.0 ათასი ლარი, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი: 06 01 06) – 500,0 ათასი ლარი, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 300.0 ათასი ლარი, ტრანსპლატაცია (კოდი 06 01 13) - 600.0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი: 06 02 02) - 278.0 ათასი ლარი, 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 05)- 40.0 ათასი ლარი, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი 06 02 06 02) -33.0 ათასი ლარი, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03)- 88.5 ათასი ლარი, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი (06 02 09) - 1000.0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 16 08)- 532.5 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში(კოდი 06 02 16 09)- 150.0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 16 12)- 65.0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 15) – 796.2 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 17 07) – 10.1 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07)- 189.0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) – 224.0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 318.0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10)- 108.5 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11)- 54.7 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12)- 140 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი: 06 02 18 13)- 155,8 ათასი ლარი, სხვა სოციალური

(დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი: 06 02 18 14)- 225,8 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი: 06 02 18 15) – 255,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი: 06 02 18 16) – 79,8 ათასი ლარი, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03)- 1400.0 ათასი ლარი, სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) -150.0 ათასი ლარი, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01)- 600,0 ათასი ლარი, სპორტი უფროსი თაობისთვის (კოდი 08 06 07) -100.0 ათასი ლარი, , ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი: 08 08 01) – 250,0 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) -1 500,0 ათასი
ამასთან, ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამა - საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 9 000,0 ათასი ლარის ოდენობით

მცირდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) -3 000.0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) - 148.5 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) - 426.0 ათასი ლარი, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) - 820.6 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის (კოდი 05 01 15) - 191.7 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21)- 195.7 ათასი ლარი, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 25) -5 222.4 ათასი ლარი, თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 38) -3 764.0 ათასი ლარი, თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაუმჯობესების სისტემის პროექტის სესხის მომსახურება(კოდი 10 39) -1 076.0 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) – 3 890.0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი: 10 47) -7 148.0 ათასი ლარი.

გარდა ამისა, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 07 02 04) ქვეპროგრამის ფარგლებში, მცირდება ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა 1 ერთეულით, ხოლო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის (კოდი 10 20) მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება 7 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში შემცირდა 8 ერთეულით და განისაზღვრა 4949 ერთეულით.

მომხრე- 6

გადაწყდა:“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, გაიზარდა შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების განცხადებების რაოდენობა სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით და ერთჯერადი ფინანსური დახმარების გამოყოფის თაობაზე. შემოსული განცხადებების დასაკმაყოფილებლად იზრდება:

წლიური გეგმა შემდეგ პროგრამებში:

„სხვა სოციალური (დახმარებების)ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში“(პროგ/კოდი 06 02 18 10)- 10940 ლარით, დაბალანსება ხდება პროგრამების წლიური ასიგნებების „ომის ვეტერანების დახმარება“ (პროგ/კოდი 06 02 17 10) -5690 ლარით და „გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები“ (პროგ/კოდი 06 02 15 10)- 5250 ლარით შემცირების ხარჯზე.

იზრდება ასევე ქვეპროგრამის „სხვა სოციალური (დახმარებების)ღონისძიებები კრწანისის რაიონში“(პროგ/კოდი 06 02 18 15) წლიური ასიგნება- 93380 ლარით და „სხვა სოციალური (დახმარებების)ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში“(პროგ/კოდი 06 02 18 16) წლიური ასიგნება -102888 ლარით. დაბალანსება ხდება პროგრამების ასიგნებების: „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში“ (პროგ/კოდი 06 02 16 15) და „უფასო სასაღილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში“ (პროგ/კოდი 06 02 14 15) - შესაბამისად შემცირებით.

მომხრე- 6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით

გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის, მთაწმინდის და კრწანისის რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქ. N20-ის მიმდებარედ არსებული 14 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.012.037) 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ციციწო ბარბაქაძისთვის (პ/ნ 01001006090) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ციციწო ბარბაქაძეს პირდაპირი განკარგვის ფორმით, იჯარით, სარგებლობაში გადაეცემა ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქ. N20-ის მიმდებარედ არსებული 14 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.11.12.012.037) 15 წლის ვადით, არსებული კიბის შემდგომი ფუნქციონირებისთვის. მიწის ნაკვეთი აღნაგობით იყო მისთვის გადაცემული, კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 25.05.2011წ. N01-4/214 ბრძანების საფუძველზე, 2024 წლის 31 ივლისამდე. ციციწო ბარბაქაძე საკუთრების უფლებით ფლობს მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი: N01.11.12.012.031).

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის მოთხოვნილი 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი. ასევე სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური არ არის ტერიტორიაზე არსებული კიბის შემდგომი ფუნქციონირების წინააღმდეგი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული ს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 35-ე მუხლით დადგენილი რეგულაციების დაცვით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, ნაცვლად მოთხოვნილი 15 წლისა, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1152 (ათას ასორმოცდათორმეტი) ლარის ოდენობით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 25.05.2011წ. N01-4/214 ბრძანებით განსაზღვრული იჯარის ვადის გასვლის დღიდან ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით.

მომხრე-6

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქ. N20-ის მიმდებარედ არსებული 14 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.012.037) 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ციციწო ბარბაქაძისთვის (პ/ნ 01001006090) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.007.062) პირდაპირი განკარგვის წესით მარინა არველაძისთვის (პ/ნ 37001039083) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, „ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 7 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.14.03.007.062) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაეცემა მარინა არველაძეს. საჯარო რეესტრიდან წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული ფიზიკური პირის სარგებლობაშია ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა N52-ში მდებარე N01.14.03.007.003.12.500 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, 2030 წლის 21 თებერვლამდე ვადით. ამასთან, განმცხადებელმა თანხმობა განაცხადა წლიური საიჯარო ქირის 1 680 (ათას ექვსას ოთხმოცი) ლარის გადახდაზე.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, სააგენტოს წარედგინა თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად არქიტექტურის სამსახური არ არის წინააღმდეგი ქ.თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა N52-ში, N01.14.03.007.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მიმდებარედ 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის ღია კაფეს მოწყობის მიზნით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, იმ პირობით თუ დაცული იქნება მოქმედი კანონმდებლობის ნორმები. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ შესაძლებელია განთავსდეს მხოლოდ მსუბუქი მაგიდა და სკამები, ყოველგვარი შემომშლუდავი ელემენტების გარეშე.

საკითხთან დაკავშირებით, ასევე წარმოდგენილია სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან დაკავშირებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

წარმოდგენილი პროექტით, განიხილება მარინა არველაძისთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით უძრავი ქონების: ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.007.062) 2030 წლის 21 თებერვლამდე ვადით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი, წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 1 680 (ათას ექვსას ოთხმოცი) ლარით.

მომხრე-6

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.007.062) პირდაპირი განკარგვის წესით მარინა არველაძისთვის (პ/ნ 37001039083) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. N19-ში მდებარე 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო ინასარიძისთვის (პ/ნ 59001103888) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ნინო ინასარიძეს პირდაპირი განკარგვის ფორმით, იჯარით, სარგებლობაში გადაეცემა, ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. N19-ში მდებარე 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) 16 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოსაწყობად, ერთი წლის ვადით. მოქალაქე იჯარით ფლობს ათონელის ქ. N17-ში არსებულ ფართს (ს/კ: N01.18.03.007.013.01.001ა), 15.08.2028წ-მდე ვადით.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 10.07.2025წ. გადაწყვეტილება, რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 16 კვმ მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის საკითხს.

სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, აღნიშნული ობიექტის განთავსების (მხოლოდ მსუბუქი მაგიდა და სკამების, ყოველგვარი შემომშლუდავი ელემენტების, სტაციონარული ქოლგების გარეშე) წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 3,5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო, ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსება 3,5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცის მიღმა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნინო ინასარიძისთვის იჯარით გადაცემას, 2028 წლის 15 აგვისტომდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 4800 ლარის ოდენობით.

მომხრე-6

გადაწყდა: “ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. N19-ში მდებარე 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო ინასარიძისთვის (პ/ნ 59001103888) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა N99-ის მიმდებარედ N01.12.12.003.141; N01.12.12.003.142 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით,

ხატუნა გამცემლიძესთვის (პ/ნ: 01017007820) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ხატუნა გამცემლიძეს პირდაპირი განკარგვის ფორმით, იჯარით, სარგებლობაში გადაეცემა ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა N99-ის მიმდებარედ არსებული 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.12.12.003.141), კიბის განთავსების მიზნით და ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა N99-ის მიმდებარედ არსებული 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.003.142), კიბისა და პანდუსის მოწყობის მიზნით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან წარმოდგენილი ამონაწერის თანახმად, ხატუნა გამცემლიძეს თანასაკუთრებაში აქვს ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა N99/გ. ჭყონდიდელის ქუჩა N87-ში, N 01.12.12.003.135 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება. ასევე, მითითებული უძრავი ქონების თანამესაკუთრე არის შპს „ფირმა 91“ (ს/ნ 200001194), რომლის 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი არის ხატუნა გამცემლიძე.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე კიბეებისა და პანდუსის განთავსებასთან დაკავშირებით, სააგენტოს წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად არქიტექტურის სამსახური არ არის წინააღმდეგი ქ.თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა N99/გ. ჭყონდიდელის ქუჩა N87-ში, N 01.12.12.003.135 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მიმდებარედ 27 კვ.მ და 1 კვ.მ მიწის ნაკვეთების კიბეებისა და პანდუსის მოწყობის მიზნით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე იმ პირობით თუ დაცული იქნება ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 35-ე მუხლის მოთხოვნები.

საკითხთან დაკავშირებით, ასევე წარმოდგენილია თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად **ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო** არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან დაკავშირებით, კიბეებისა და პანდუსის განთავსების მიზნით.

წარმოდგენილი პროექტით, განიხილება ხატუნა გამცემლიძისთვის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, კიბისა და პანდუსის მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა N99-ის მიმდებარედ N01.12.12.003.141; N01.12.12.003.142 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 4 032 (ოთხი ათას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

მომხრე-6

გადაწყდა: ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა N99-ის მიმდებარედ N01.12.12.003.141; N01.12.12.003.142 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, ხატუნა გამცემლიძესთვის (პ/ნ: 01017007820) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, „საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.020) ეკა ჯანიკაშვილისთვის (პ/ნ: 01008006732) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.020) იჯარით გადაეცემა ეკა ჯანიკაშვილს, კიბის ფუნქციონირების მიზნით. აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №52-ის მიმდებარედ (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.14.11.017.020) არსებული 4 კვ.მ მიწის ნაკვეთი მითითებულ პირს გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, 2025 წლის 6 ოქტომბრამდე ვადით, მის საკუთრებაში არსებულ ფართში (ს/კ: 01.14.11.017.009.01.014) შესასვლელი კიბის ფუნქციონირების მიზნით. განმცხადებელმა თანხმობა განაცხადა წლიური საიჯარო ქირის 576 (ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარის გადახდაზე.

თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის მოთხოვნილი 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის წინააღმდეგი. აღნიშნული მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა შესაძლებლად მიიჩნია სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 (ხუთი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 576 (ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით.

მომხრე-6

გადაწყდა: „ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.020) ეკა ჯანიკაშვილისთვის (პ/ნ: 01008006732) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურმა 2023 წლის 18 ოქტომბერს წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და განმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით, კონტრაქტორი კომპანია ახორციელებს ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. სამშენებლო სამუშაოების წარმოების პარალელურად გამოიკვეთა გარემოება, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით საჭიროა ერთ-ერთ კერძო ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი და ახლის მოწყობა, რადგანაც კონკრეტულ ლოკაციაზე მოხდეს საფეხმავლო ტროტუარის გაგანიერება, რათა ქვეითად მოსიარულეებმა შეძლონ უსაფრთხო გადაადგილება და აგრეთვე, მოეწყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილი გაჩერება ისე, რომ არ მოხდეს გზის სავალი ნაწილის შეზღუდვა/შევიწროება. ასევე წარმოდგენილ იქნა, კონტრაქტორი კომპანიის წერილი, რომლითაც დგინდება რომ ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოიკვეთა ფიზიკური პირის ლელა პატიაშვილის საკუთრებაში ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩისა და თამარაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე არსებული 74 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.042.188) დემონტაჟის და ახლის მოწყობის საჭიროება, რადგანაც კონკრეტულ ლოკაციაზე მომხდარიყო საფეხმავლო ტროტუარის გაგანიერება. 2023 წლის 29 ნოემბრს სააგენტოს მიერ წერილით ეცნობა ლელა პატიაშვილს, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ და შეთავაზებული იქნა მის საკუთრებაში N01.14.03.042.188 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 74 კვ.მ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის სანაცვლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად N01.14.03.042.245 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე აშენებულ შენობა-ნაგებობაში განთავსებული ფართით ჩანაცვლება. სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ N01.14.03.042.245 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოწყობილი იქნა შენობა-ნაგებობა (საყვავილე პავილიონი), რომელიც სააგენტოს მიმართვის საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დარეგისტრირებულ იქნა ცალკე საკადასტრო ერთეულად (საკადასტრო კოდი: N01.14.03.042.432) შენობა-ნაგებობის კონტურზე. ლელა პატიაშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.042.188) ღირებულება 694 (ექვსას ოთხმოცდაათოთხმეტი) ლარით აღემატება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.042.432) საბაზრო ღირებულებას, მაგრამ ის აცხადებს, რომ ფასთა შორის სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნება არანაირი პრეტენზია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

მომხრე-6

გადაწყდა: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 2 ივნისის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-259-11-11441 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული აუქციონის განსაკუთრებული პირობის ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2014 წლის 2 ივნისის NE-259-11-11441 ოქმითა და მის

საფუძველზე 2016 წლის 1 ივნისის გამოცემული N3357 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის შესაბამისად შპს „ეპიკ ნუცუბიძეს“ (ს/ნ: 401997327) საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩასა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე 9493.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ №01.14.15.001.296)

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით განსაზღვრული აუქციონის განსაკუთრებული პირობების „ბ“ პუნქტის თანახმად, მითითებული ქონების განკარგვა განხორციელდა შემდეგი პირობით - „მშენებლობის ნებართვის აღებიდან 3 წლის ვადაში ნებართვით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულება“.

საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ N01.14.15.001.296 საკადასტრო ერთეულზე, მესაკუთრის მიერ არაერთგზის განხორციელდა დაყოფისა და გაერთიანების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. აღნიშნულის შედეგად, დღევანდელი მდგომარეობით ფორმირებულია №01.14.15.001.443 საკადასტრო ერთეული და წარმოადგენს შპს „დომუს დეველოპმენტის“ (ს/ნ: 405547047) საკუთრებას.

შპს „დომუს დეველოპმენტის“ დირექტორმა 2025 წლის 14 ივლისს განცხადებით მომართა სააგენტოს, განმარტა, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ მშენებლობის ნებართვა გაიცა 2022 წლის 26 დეკემბერს, თუმცა სამშენებლო სამუშაოების შეფერხება გამოიწვია ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ წარდგენილმა ადმინისტრაციულმა სარჩელმა, რაც დაფუძნებული იყო იმ გარემოებაზე, რომ შპს „დომუს დეველოპმენტი“ ქვაბულის სამუშაოების წარმოებისას მიუახლოვდა მოსარჩელის კუთვნილ ავარიულ შენობა-ნაგებობას და მისი ვარაუდით საფრთხეს უქმნიდა აღნიშნულ შენობა-ნაგებობას. იმისათვის, რომ მოსარჩელის ვარაუდი გაბათილებულიყო, შპს „დომუს დეველოპმენტის“ მიერ წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 06.06.2025 წელს გაცემულ იქნა ბრძანება, რომლითაც შეთანხმდა კორექტირებული პროექტი და გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა.

იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო სამუშაოების შეფერხება გამოწვეულ იქნა ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებით, შპს „დომუს დეველოპმენტმა“ ითხოვა, №01.14.15.001.443 საკადასტრო ერთეულზე არსებული აუქციონის პირობის („მშენებლობის ნებართვის აღებიდან 3 წლის ვადაში ნებართვით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულება“) ცვლილება და ნებართვით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულებისთვის განსაზღვრული ვადის 2 (ორი) წლით გაზრდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, შევიდეს ცვლილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 2 ივნისის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-259-11-11441 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებულ აუქციონის განსაკუთრებული პირობების „ბ“ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „მშენებლობის ნებართვის აღებიდან 5 წლის ვადაში ნებართვით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულება“.

მომხრე-6

გადაწყდა: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 2 ივნისის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-259-11-11441 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული აუქციონის განსაკუთრებული პირობის ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 თებერვლის N24.256.291 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N43 განკარგულების საფუძველზე, სააგენტოსა და ქონების შემძენს შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმდა „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება.

ხელშეკრულების საფუძველზე, ქონების შემძენს გადაეცა ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა №21-ში მდებარე 2 402 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: N01.13.01.004.151), ხოლო სანაცვლოდ მუნიციპალიტეტმა მიიღო გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე (ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური საამქროს მიმდებარედ) არსებული 234 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: N01.15.03.004.084). ამასთან, ქონების შემძენის მიერ მუნიციპალიტეტისთვის

გადმოცემული მიწის ნაკვეთის ღირებულება 225 846 ლარით აღემატება მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ქონების ღირებულებას.

ხელშეკრულების 4.3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი არ არის ვალდებული, ქონების შემძენს გადაუხადოს N01.13.01.004.151 და N01.15.03.004.084 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებების ფასთა შორის არსებული სხვაობა 225 846 (ორას ოცდახუთი ათას რვაას ორმოცდაექვსი) ლარის ოდენობით, ამასთან, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ითანამშრომლებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შესაბამისი უძრავი ქონების მოძიებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასთვის“ მისი საკუთრების ან სარგებლობის უფლებით (შესაბამისი ფორმით) გადაცემის მიზნით, ფასთა შორის სხვაობის შესაბამისი ქონების საბაზრო საპრივატიზებო ან/და სარგებლობის საფასურის ანგარიშში ჩათვლის პირობით.

მიუხედავად იმისა, რომ 2024 წლის 17 ოქტომბრის და 2025 წლის 17 აპრილის შეთანხმებით გახანგრძლივებულ იქნა ხელშეკრულების ვადა და მხარეებს შორის მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები, ამ ეტაპზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეულ გრძელდება შესაბამისი მიწის ნაკვეთის მოძიების/შეთავაზების პროცესი. შესაბამისად, დღის წესრიგში დგას ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული 18 (თვრამეტი) თვიანი ვადის გაზრდის საკითხი. ამასთან, აღნიშნული პროცესის წარმატებით დასრულება წარმოადგენს არა მხოლოდ ქონების შემძენის, არამედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინტერესს.

სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 11 სექტემბრის განცხადებით ქონების შემძენი მოითხოვს ხელშეკრულების (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით) 4.3 პუნქტით განსაზღვრული ვადის გაზრდას.

მომხრე-6

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ენსი გრუპს“ (ს/კ: 405186365) (დღეის მდგომარეობით: შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ - ს/ნ: 405626997) შორის 2021 წლის 15 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიდმის დასახლების მიმდებარედ არსებული 8 118 კვ.მ ფართობის, N01.10.06.002.064 და N01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ: N01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დამატებითი შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის N21.540.582 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის N191 განკარგულებების საფუძველზე 2021 წლის 15 ივლისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს „ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ენსი გრუპს“ (ს/ნ: 405186365) შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, დიდი დიდმის დასახლების მიმდებარედ არსებული 8 118 კვ.მ ფართობის, N01.10.06.002.064 და N01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ: N01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება.. ხელშეკრულების საფუძველზე, სააგენტოსთვის/სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირ(ებ)ისათვის კოოპერატივის წევრებისთვის ჯამურად გადასაცემი ფართი (თეთრი კარკასის მდგომარეობით) განისაზღვრა – 6600 კვ. მ-ის ოდენობით, საიდანაც 600 კვ.მ საცხოვრებელი ფართი გადაეცემა სააგენტოს ან/და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა პირ(ებ)ს, ხოლო ჯამურად 6000 კვ.მ - კოოპერატივის წევრებს. (ხელშეკრულების 3.3. პუნქტი) აღსანიშნავია, რომ სააგენტოში შპს „ენსი გრუპის“ (ს/ნ: 405186365) მიერ 2023 წელს განცხადებებით მოთხოვნილ იქნა თანხმობა N01.10.06.002.078 (დღევანდელი მდგომარეობით: N01.72.14.002.024) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (წინა საკადასტრო კოდები: N01.10.06.002.064 და N01.10.06.002.065) გასხვისების თაობაზე, რაზეც სააგენტოს წერილით მიეცა თანხმობა, N01.10.06.002.078 (დღევანდელი მდგომარეობით: N01.72.14.002.024) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (ჯამური ფართობით: 8118 კვ. მ) მიწის ნაკვეთის, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო

პროექტის განხორციელების მიზნით, შპს „ბლოქსი თავდადებულზე“-ს (ს/ნ: 405626997) საკუთრებაში გადაცემაზე, იმ პირობით, რომ შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ (ს/ნ: 405626997) სრულად იკისრებს ხელშეკრულებითა და შეთანხმებით შპს „ენსი გრუპს“ (ს/ნ: 405186365) მიერ შესასრულებელ ყველა ვალდებულებას და უზრუნველყოფს ხელშეკრულებისა და შეთანხმების პირობების შესრულებას.

ხელშეკრულების 3.1 პუნქტის და 3.6. პუნქტის თანახმად დაეკისრა გარკვეული ვალდებულებების შესრულება, რისი დარღვევისთვისაც კომპანიას დაკისრებოდა პირგასამტეხლო.

ხელშეკრულების 3.3 პუნქტის თანახმად კომპანიას აქვს სააგენტოსთვის 600 კვ.მ ფართის გადაცემის ვალდებულება. ასევე, შეწყვეტილი ხელშეკრულებების ნაწილშიც სააგენტო უნდა იყოს ფართის მიმღები (ჯამურად - 209.36 კვ.მ) და ამასთან, ვინაიდან ფაქტობრივად N01.10.06.002.046 (დღეის მდგომარეობით: ს/კ: N01.72.14.002.024) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან კოოპერატივის 75 წევრი, კომპანიასა და აღნიშნულ პირებს შორის დადებული შეთანხმებების საფუძველზე, გადაყვანილ იქნა პეტრე იბერის ქუჩის პროექტში, სადაც სრულად დარეგისტრირებულია მითითებული პირების სამომავლო საკუთრების უფლება კონკრეტულ ფართებზე, კომპანიამ წარმოადგინა შუამდგომლობა, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით მოხდეს/ჩაითვალოს პეტრე იბერის ქუჩის პროექტში (კომპანიის მიერ პეტრე იბერის პროექტში განხორციელებული განშლა ჩაითვალოს შეთანხმებულად ხელშეკრულების 3.1 პუნქტის მიზნებისთვის) და ამასთან, ამავე ხელშეკრულების 3.3 პუნქტით გათვალისწინებული სააგენტოსთვის გადასაცემი 600 კვ.მ ფართის (შეწყვეტილი ხელშეკრულებების ფართის გათვალისწინებით - ჯამურად - 809.36 კვ.მ) ნაწილშიც, შესრულება განხორციელდეს პეტრე იბერის ქუჩის პროექტში და მუნიციპალიტეტს გადაეცეს აღნიშნული ფართები პეტრე იბერის ქუჩაზე (ს/კ: N01.10.06.001.292 და ს/კ: N01.10.06.001.293) მიმდინარე კოოპერატიულ პროექტში. ამასთან, კომპანიის მიერ წარმოდგენილი სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2024 წლის 23 სექტემბრის №006660424 დასკვნის მიხედვით, ს/კ: 01.10.06.001.293 უძრავ ქონებაში საცხოვრებელი ფართის 1 კვ.მ-ის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) ღირებულება საორიენტაციოდ, 2024 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენს 2470 ლარს, ხოლო 01.72.14.002.024 საკადასტრო ერთეულზე - 2604 ლარს, ვინაიდან N01.10.06.002.046 (დღეის მდგომარეობით: ს/კ: N01.10.06.002.078) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებულია თვითნებურად და მიმდინარეობს სასამართლო დავები აღნიშნულ მიწასთან დაკავშირებით და კომპანიას არ ეძლევა შესაძლებლობა განახორციელოს აღნიშნული პროექტი, რაც ასევე აფერხებს მუნიციპალიტეტის მიერ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კუთვნილი ფართის მიღებას, მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის უკეთესი ინტერესის გათვალისწინებით, მითითებული ფართი მიღებულ იქნას პეტრე იბერის ქუჩის პროექტში. ასევე, აღსანიშნავია რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი წინადადების მიხედვით, მუნიციპალიტეტს ფართი გადაეცემა მეტობით (638.7 კვ.მ). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და ინტერესთა გამომხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ენსი გრუპს“ (ს/კ: 405186365) (დღეის მდგომარეობით: შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ - ს/ნ: 405626997) შორის 2021 წლის 15 ივლისის გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიდმის დასახლების მიმდებარედ არსებული 8 118 კვ.მ ფართობის, N01.10.06.002.064 და N01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ: N01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დამატებითი შეთანხმების გაფორმებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 1 ოქტომბრის N25.1644.1854 განკარგულების დანართის შესაბამისად.

მომხრე-6

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და ინტერესთა გამომხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ენსი გრუპს“ (ს/კ: 405186365) (დღეის მდგომარეობით: შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ - ს/ნ: 405626997) შორის 2021 წლის 15 ივლისის გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიდმის დასახლების მიმდებარედ არსებული 8 118 კვ.მ ფართობის, N01.10.06.002.064 და N01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ: N01.10.06.002.046) პირდაპირი

განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ” ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დამატებითი შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ახალ ვაზისუბანს“ (ს/ნ: 405675899) შორის 2024 წლის 3 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბნის IIა, კორპუსი N27-ის მიმდებარედ, N01.17.06.014.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 7035 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ახალი ვაზისუბნისთვის“ (ს/ნ: 405675899), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან - შპს „ახალი ვაზისუბნის“ (ს/ნ: 405675899) გათავისუფლების თაობაზე .

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს , ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ახალ ვაზისუბანს“ შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბნის IIა, კორპუსი N27-ის მიმდებარედ, N01.17.06.014.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 7035 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ახალი ვაზისუბნისთვის“ (ს/ნ: 405675899), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ხელშეკრულება. ხელშეკრულებით განისაზღვრა კომპანიის მიერ ქონების მიმღები პირებისათვის გადასაცემი ფართის ჯამური ოდენობა **6000** კვ.მ-ს ოდენობით, საიდანაც კოოპერატივის წევრებს, ამ ხელშეკრულების დანართის შესაბამისად, გადაეცემათ - **3397.74** კვ.მ, ხოლო სააგენტოს - **2602.26** კვ.მ.

აღნიშნული ხელშეკრულების 3.1. პუნქტის თანახმად: და 3.4. პუნქტის თანახმად დაევალა გარკვეული ველდებულებების შესრულება.

კომპანიის წარმომადგენელმა 2025 წლის 31 ივლისს და 2025 წლის 15 აგვისტოს განცხადებებით, მიმართა სააგენტოს და განცხადებების დანართებით წარმოადგინა ხელშეკრულების 3.1. (შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში, ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ ფართებზე საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, ქონების მიმღების პირების საკუთრების უფლების რეგისტრაციის ნაწილში) და 3.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესახებ დოკუმენტაცია.

სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დადგინდა შემდეგი: მითითებული ხელშეკრულების 3.3 პუნქტის თანახმად, „კომპანია უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ განახორციელოს გადასაცემი ფართების პროექტირება და შეიტანოს მასში ცვლილებები, სააგენტოსა და სხვა ქონების მიმღები პირების წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა გადასაცემი ბინების ფართობის, რაოდენობის ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების ცვლილებისა. ამასთან, დასაშვებია გადასაცემი ფართების ფართობის ცდომილება - ფართის შემცირების შემთხვევაში, არაუმეტეს 3 %-ის ოდენობით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი ფართი აღემატება თითოეული ქონების მიმღები პირისათვის გადასაცემი ინდივიდუალური ფართის ფართობს, კომპანია შესაბამის პირს გადასცემს გაზრდილ ფართს და აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტოს ან/და სხვა ქონების მიმღები პირების მიმართ არ წარმოემოძა რაიმე პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პროექტის ფარგლებში ასაშენებელი შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტისა და მშენებლობის ნებართვების მოპოვებას, ასევე, მათ განახლებას/კორექტირებას, არ ესაჭიროება სააგენტოს/კოოპერატივის წევრების/სხვა ქონების მიმღები პირების დამატებითი თანხმობა“. სააგენტოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას დადგინდა, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ე.წ „განშლით“ საკუთრებაში რეგისტრირებული მშენებარე ცალკეული ინდივიდუალური ფართები არ არის შესაბამისობაში ხელშეკრულების ზემოხსენებულ პუნქტთან/დანართთან, რამოდენიმე პირთან მიმართებაში. შესაბამისად, ვინაიდან დოკუმენტაციის შესწავლისას დადგინდა, რომ საჯარო რეესტრში ე.წ „განშლით“ საკუთრებაში რეგისტრირებული მშენებარე ცალკეული ინდივიდუალური ფართები რამდენიმე პირთან მიმართებით არ შეესაბამებოდა ხელშეკრულების 3.3 პუნქტს/ხელშეკრულების დანართს. შესაბამისად, სააგენტოს 2025 წლის 20 აგვისტოს N61-01252322098 წერილით, კომპანიას ეთხოვა მითითებული ხარვეზის გამოსწორების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

2025 წლის 7 სექტემბრიდან - 2025 წლის 16 სექტემბრამდე დარღვეულია შეთანხმების 3.1. პუნქტით ნაკისრი ვალდებულება და აღნიშნული ვალდებულების დარღვევის გამო, ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტით, კომპანიას ეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, რომლის ოდენობაც 2025 წლის 16 სექტემბრის (ჩათვლით) მდგომარეობით (10 - ათდღიანი ვადაგადაცილება) შეადგენს ჯამურად 45 000 (ორმოცდახუთი ათას) ლარს.

შპს „ახალი ვაზისუბანის“ განცხადებით განიმარტა, რომ ნაკისრი ვალდებულება კომპანიის მიერ შესრულდა არასწორი ფორმით, თუმცა ვადაში და ამასთან, მათ მიერ ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში დროულად იქნა წარდგენილი განცხადება/მოთხოვნა ვალდებულებების შესრულების მიზნებისთვის განსახორციელებელი ქმედებების შესასრულებად და აღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით ითხოვა 2025 წლის 7 სექტემბრიდან - 2025 წლის 16 სექტემბრამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლება.

ვინაიდან, აღნიშნული პროექტი არის სოციალური პროექტი, რომლის ფარგლებში ხორციელდება კოოპერატივის წევრთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რაც მუნიციპალიტეტისთვის/სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული საკითხია, შესათანხმებლად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი აღნიშნულთან დაკავშირებით.

მომხრე-6

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და ინტერესთა გამომხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ახალ ვაზისუბანს“ (ს/ნ: 405675899) შორის 2024 წლის 3 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბნის IIა, კორპუსი N27-ის მიმდებარედ, N01.17.06.014.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 7035 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ახალი ვაზისუბნისთვის“ (ს/ნ: 405675899), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან - შპს „ახალი ვაზისუბნის“ (ს/ნ: 405675899) გათავისუფლების თაობაზე, „საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ენსი დეველოპმენტს“ (ს/ნ 405385925 - დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა დეველოპმენტ“ - ს/ნ 405385925) შორის 2021 წლის 11 ივნისს გაფორმებული ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. №13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „დეკა დეველოპმენტის“ - ს/ნ 405385925) ნაწილობრივ გათავისუფლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, არჩილ მეფის ქუჩა, N17-ში, მდებარე 54.80 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.230.01.05.010) და 61.70 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.230.01.04.005) უძრავი ქონების (საცხოვრებელი ფართების) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის N21.536.625 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის N192 განკარგულებების საფუძველზე განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული შპს „ენსი დეველოპმენტისათვის“ (ს/ნ 405385925 - დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა დეველოპმენტ“ - ს/ნ 405385925) ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. №13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება. ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, 2021 წლის 11 ივნისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/ მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ენსი დეველოპმენტს“ (ს/ნ 405385925 - დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა დეველოპმენტ“ - ს/ნ 405385925) შორის

გაფორმდა „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095), ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. №13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: №01.10.08.006.095; №01.10.07.007.111), 10755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კოოპერატივის წევრებმა, ზემოხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე. ხელშეკრულებით განსაზღვრულია კომპანიის მიერ რიგი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება. კერძოდ: საკუთრების უფლების რეგისტრაციის ვადების დარღვევის გამო, კომპანიისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლო ჯამურად შეადგენს 4144.04 აშშ დოლარს, მშენებლობის დასრულების ვადის დარღვევისათვის - 7 052.44 აშშ დოლარს, ხოლო კომპანიის მიერ ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართებზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ვადის დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს ოდენობა ჯამურად შეადგენს 7321.96 აშშ დოლარს. შესაბამისად, საერთო ჯამში, სამივე ვალდებულების დარღვევისთვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კომპანიის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლო შეადგენს 18 518.44 აშშ დოლარს.

შესათანხმებლად წარმოდგენილია კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ნაწილისგან 11 466 აშშ დოლარის ოდენობით გათავისუფლების საკითხი, იმ პირობით, რომ კომპანიის მიერ განხორციელდება, 7 052.44 გადახდა არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, გადახდის დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, არჩილ მეფის ქუჩა N17, ბლოკი A2, სართული 2, ბინა N10- ში მდებარე 54.80 კვ.მ უძრავი ქონების (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.230.01.05.010) და ქალაქ თბილისში, არჩილ მეფის ქუჩა N17, ბლოკი A1, სართული 2, ბინა N5-ში არსებული 61.70 კვ.მ უძრავი ქონების (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.230.01.04.005) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხი, შპს „დეკა დეველოპმენტის“ (ს/ნ 405385925) საკუთრებაში ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქუჩა, N17, ბლოკი „ბ1“, სადარბაზო 1, სართული 3, ბინა N18-ში მდებარე 116.50 კვ.მ უძრავი ქონების (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.230.02.01.018), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

მომხრე-6

გადაწყდა: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ენსი დეველოპმენტს“ (ს/ნ 405385925 - დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა დეველოპმენტ“ - ს/ნ 405385925) შორის 2021 წლის 11 ივნისს გაფორმებული ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. №13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „დეკა დეველოპმენტის“ - ს/ნ 405385925) ნაწილობრივ გათავისუფლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, არჩილ მეფის ქუჩა, N17-ში, მდებარე 54.80 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.230.01.05.010) და 61.70 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.230.01.04.005) უძრავი ქონების (საცხოვრებელი ფართების) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ერეკლე II ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.045.019) 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ვასილ შელეგიასთვის (პ/ნ 62004005989) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ვასილ შელეგიას პირდაპირი განკარგვის ფორმით, იჯარით, სარგებლობაში გადაეცემა ქალაქ თბილისში, ერეკლე II ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.045.019) 22 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლის ვადით. ვასილ შელეგია საკუთრების უფლებით ფლობს მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი: N01.18.03.045.013).

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 04.09.2025წ. გადაწყვეტილება, რომლითაც, დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 22 კვმ მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის საკითხს, მსუბუქი დიზაინის მაგადა და სკამების განთავსების რეკომენდაციით.

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო აღნიშნული ობიექტის განთავსების წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 3 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო, ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსება 3 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცის მიღმა. ამასთან, აღნიშნულ ტერიტორიაზე შესაძლებელია განთავსდეს მხოლოდ მსუბუქი მაგიდები და სკამები, ყოველგვარი შემოშლულავი ელემენტების გარეშე.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ვასილ შელეგიასთვის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 6600 ლარის ოდენობით.

მომხრე-6

გადაწყდა:ქალაქ თბილისში, ერეკლე II ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.045.019) 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ვასილი შელეგიასთვის (პ/ნ 62004005989) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გამსახურდიას გამზირი N34-ის მიმდებარედ არსებული 520 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.14.013.045) 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიზნეს ცენტრი საბურთალოსთვის“ (ს/ნ 205272863) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, შპს „ბიზნეს ცენტრი საბურთალოს“ იჯარით,პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობაში გადაეცემა ქალაქ თბილისში, გამსახურდიას გამზირი N34-ის მიმდებარედ არსებული 520 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.14.013.045) 5 კვ.მ მიწის ნაკვეთი, 5 წლის ვადით, კიბის მოწყობის მიზნით. აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.10.14.013.044). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი.

ასევე სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური არ არის მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი, იმ პირობით, თუ დაცული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის და 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 720 ლარის ოდენობით.

მომხრე-6

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, გამსახურდიას გამზირი N34-ის მიმდებარედ არსებული 520 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.14.013.045) 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიზნეს ცენტრი საბურთალოსთვის“ (ს/ნ 205272863) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.114) და ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის „მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114) და შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის გასატარებელი ხელშეწყობი ღონისძიებების ფარგლებში, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის უძრავი ქონების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემისა და N01.10.13.015.114 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული ვალდებულების გაუქმების თაობაზე“ 2025 წლის 13 ივნისის N25.990.1105 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, განკარგულების დანართი N1, N2 და N4-ით, გათვალისწინებული უძრავი ქონებების ამავე დანართებითა და დანართი N3-ით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირებს (ან კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ უფლებამონაცვლე/უფლებამოსილ პირებს) საკუთრებაში უნდა გადაეცეს ამავე დანართებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართები, თითოეულს სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად.

ამავე განკარგულებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ევალება, დანართებით განსაზღვრულ პირებთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გააფორმოს პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები, ამ განკარგულების დანართი N5-ისა და დანართი N6-ის შესაბამისად. ზემოაღნიშნული განკარგულების გათვალისწინებული მოქმედებები შეთანხმებულია „მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114) და შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის გასატარებელი ხელშეწყობი ღონისძიებების ფარგლებში, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის უძრავი ქონების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემისა და N01.10.13.015.114 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული ვალდებულების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 ივნისის N240 განკარგულებით. ამასთან, სააგენტოს დაევალება ამავე განკარგულების დანართით გათვალისწინებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 ივნისის N240 განკარგულების გამოცემიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში, ხოლო აღნიშნულ ვადად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 8 ოქტომბრის N25.1686.1915 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 9 ოქტომბრის N464 განკარგულებების საფუძველზე, განისაზღვრა 2026 წლის 7 ოქტომბერი. ვინაიდან, ამ ეტაპისათვის, განსახორციელებელია გარკვეული პროცედურები, მიმდინარე განკარგულების პროექტით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამ ეტაპზე შესათანხმებლად წარმოდგენილია მხოლოდ:

1. ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N1-ში (ს/კ: N01.10.13.015.114) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონებების, ამავე დანართით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის საკითხი, ამავე განკარგულების დანართი N3-ის შესაბამისად

2. ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (ს/კ: N01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების დანართი N2-ით გათვალისწინებული უძრავი ქონებების, ამავე დანართით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის საკითხი, ამავე განკარგულების დანართი N4-ის შესაბამისად.

მომხრე-6

გადაწყდა: „ქ. თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.114) და ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „თელასს“ (ს/ნ: 202052580) შორის 2024 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული №ე-802-5-30603 აუქციონის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „თელასს“ (ს/ნ: 202052580) შორის 2024 წლის 30 დეკემბრის №ე-802-5-30603 აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე სს „თელასს“ სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, გადაეცა ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე 4344.00 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.72.14.234.004) 25.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი ენერგობიექტის განთავსების მიზნით.

მოიჯარემ 2025 წლის იანვარში მიმართა, თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს, ზემოაღნიშნული ენერგობიექტის განთავსების მიზნით ნებართვის გაცემაზე, თუმცა ვინაიდან საპროექტო არეალში ფიქსირდება სანიაღვრე ქსელი, აღნიშნული სამსახურის მიერ მოთხოვნილ იქნა მშს თბილსერვის ჯგუფის თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებზე. მშს „თბილსერვის ჯგუფის“ კორესპონდენციის თანახმად, მიწის ნაკვეთზე მდებარეობს სანიაღვრე კოლექტორი, რომელზეც დაუშვებელია ენერგობიექტის განთავსება.

შესაბამისად, 2025 წლის 29 აპრილს მოიჯარემ განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა განცხადებით წარდგენილი ორთოფოტოს შესაბამისად მიწის ნაკვეთის ჩანაცვლება, იმავე საკადასტრო ერთეულის ფარგლებში, იმავე კვადრატულობით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მშს „თბილსერვის ჯგუფის“ კორესპონდენციით წარმოდგენილია დადებითი პოზიცია მიწის ნაკვეთის ჩანაცვლების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ოქტომბრის №25.1775.2013 განკარგულების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სს „თელასთან“ 2024 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ №ე-802-5-30603 აუქციონის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა. შეთანხმების პირობების შესაბამისად.

მომხრე-6

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „თელასს“ (ს/ნ: 202052580) შორის 2024 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული №ე-802-5-30603 აუქციონის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, იორის ქუჩა 3-7/გიგა ბათიაშვილის I შესახვევი, N4-6-ის მიმდებარედ N01.17.01.041.013 და N01.17.01.041.021 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, თინათინ რაზმაძესთვის (პ/ნ: 59001011939) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქ. თბილისში, იორის ქუჩა 3-7/გიგა ბათიაშვილის I შესახვევი, N4-6-ის მიმდებარედ N01.17.01.041.013; N01.17.01.041.021 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, კიბის უჯრედ(ებ)ის მოწყობის მიზნით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაეცემა თინათინ რაზმაძეს. აღნიშნული პირს საკუთრებაში აქვს ქ. თბილისში, იორის ქუჩა 3-7/გიგა ბათიაშვილის I შესახვევი, N4-6-ში, N01.17.01.041.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე კიბეების განთავსებასთან დაკავშირებით, სააგენტოში წარმოდგენილია თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ. აღნიშნული საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისში, იორის ქუჩა 3-7/გიგა ბათიაშვილის I შესახვევი, N4-6-ში, N01.17.01.041.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მიმდებარედ 1 კვ.ნ და 1 კვ.მ მიწის ნაკვეთების კიბეების მოწყობის მიზნით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

საკითხთან დაკავშირებით, სააგენტოს ასევე წარედგინა თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დადებითი წერილობითი პოზიცია.

წარმოდგენილი პროექტით, განიხილება თინათინ რაზმაძესთვის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, კიბეების მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ქ. თბილისში, იორის ქუჩა 3-7/გიგა ბათიაშვილის I შესახვევი, N4-6-ის მიმდებარედ N01.17.01.041.013; N01.17.01.041.021 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 288 (ორას ოთხმოცდარვა) ლარის ოდენობით.

მომხრე-6

გადაწყდა: ქ. თბილისში, იორის ქუჩა 3-7/გიგა ბათიაშვილის I შესახვევი, N4-6-ის მიმდებარედ N01.17.01.041.013 და N01.17.01.041.021 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, თინათინ რაზმაძესთვის (პ/ნ: 59001011939) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე**



ლევან არველაძე